საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 238

2012 წ. "8" 08

ქ. თბილისი

შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ კოლხა 11-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ კოლხა 11-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212892976) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	I	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის I საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	20
2.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	II	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	20
3.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	III	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის III	20

			საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	
4.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	IV	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60
5.	მიმღები-რეცეფციონისტი	III	III საფეხურის მიმღებ-რეცეფციონისტის პროფესიული კვალიფიკაცია.	45

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 7-8 აგვისტოს №18 სხდომის ოქმის მე-14 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
ლალი ღოღელიანი